ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება #356

12 ნოემბერი 2019 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669-ე დადგენილების მე-2 მუხლის „დ“, „ე“ და „ი“ ქვეპუნქტების და “ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 05 სექტემბრის #987 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2019 წლის 11 ნოემბრის #16742-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტის გეგმა, დანართი #1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტან–ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ლევანი ონიანი

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი #1

#	საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება / დანიშნულება	ფუნქციური ზონები	ს/კოდი	მისამართი	შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი კვ.მ.	საწყისი საპრ. საფასური	ზე 30%	ზიჯი 5%	პირობა	შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის პერიოდი	შენიშვნა
1	შენობა-ნაგებობა #1	ს-1	02.07.02.635	ქალაქი რუსთავი, ქუჩა გაგარინი, #18	1161	1000	300	50	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, საკუთრების მოწმობის გაცემიდან 2 (ორი) თვის ვადაში განახორციელოს შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და ნარჩენი მასალის გატანა/ტერიტორიის დასუფთავება.	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	საჭიროების შემთხვევაში, შესყიდულ ქონებაზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში მყიდველი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მათ გადატანას.